

შპს „ელინორ კონსტრაქშენი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 405467775
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს "ელინორ კონსტრუქცია" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აქტივები	31/12/2024	31/12/2023	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1781332	270314	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4406	0	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1506020	2379008	
მარაგები	3366522	6474597	
მზა პროდუქცია	3364476	6474597	
სხვა	2046	0	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	223777	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	4492839	4386747	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	332498	
სულ აქტივები	11151119	14066941	
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	999759	1052976	
მიღებული ავანსები	808701	5310157	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2364	441	
საგადასახადო ვალდებულებები	86618	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	400000	4224778	
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	87628	1939	
სულ ვალდებულებები	2385070	10590291	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	212678	1411547	

შპს "ელინორ კონსტრაქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	8553371	2354152	
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		(289049)	
სულ საკუთარი კაპიტალი	8766049	3476650	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11151119	14066941	

დირექტორი: ზვიად სეზისკვერაძე

ზ. სეზისკვერაძე

შპს "ელინორ კონსტრუქცი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	13026545	7005752
საქონლის გაყიდვიდან	13026545	7005752
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	(6401982)	(3670498)
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6624563	3335254
სხვა საოპერაციო შემოსავალი	298516	830591
დასაქმებულთა ანაზღაურება	(226529)	((250779)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(3272)	(16107)
საპროცენტო შემოსავალი	56295	14157
საპროცენტო ხარჯი	(107119)	(344865)
იჯარის ხარჯი	(14931)	(34642)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(427790)	(557785)
სულ საოპერაციო ხარჯები	(424830)	(359430)
საოპერაციო მოგება	6199733	2975824
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	6199733	2975824
მოგების გადასახადის ხარჯი	(514)	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)	6199219	2975824
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0

შპს "ელინორ კონსტრუქციები" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის		
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	6199219	2975824
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3476650	1231074
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(70954)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(909820)	(659294)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8766049	3476650

დირექტორი: ზვიად სემისკვერაძე

ზ. სემისკვერაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა		
2024 წელი		
	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	სულ
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	270314
1	შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (+)	10929242
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (+)	
3	თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	
4	მასალებზე გაწეული ხარჯი (-)	-312415
5	გადახდილი გადასახადები (-)	
6	მიღებული მომსახურების და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	-1500190
7	მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები (-)	-2 981115
8	სხვა არასაოპერაციო ხარჯი (-)	
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6135522
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
9	საწარმოს წილის გასხვისებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
10	ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	63169
11	საწარმოს მიერ გაცემული სესხის დაფარვით მიღებული ფულადი სახსრები (+)	65000
12	მიღებული პროცენტები (+)	56295
13	მიღებული დივიდენდები (+)	
14	სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
15	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოყენებით (-)	
16	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	
17	სესხების გაცემა (-)	
18	სხვა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების მიზნით გასული ფულადი სახსრები (-)	-65000
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-1602
		117862

შპს "ელინორ კონსტრაქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	შენატანები კაპიტალში (+)	
20	შემოსულობა აქციათა ემისიიდან (+)	54000
21	შემოსულობა მოკლევადიანი სესხებიდან (+)	
22	შემოსულობა გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
23	მოკლევადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	910000
24	გრძელვადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	
25	მოკლევადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	-4346378
26	გრძელვადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	
27	გადახდილი დივიდენდები (-)	-107119
28	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღება (+)	
29	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გასვლა (-)	-1252869
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-4742366
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1781332
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	1511018

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელინორ კონსტრაქშენი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2021 წლის 17 ივნისს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

შპს ელინორ კონსტრაქშენს მშობელი საწარმო არ ჰყავს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია-პერეტს დოვრატ(01401135515). შპს „დიდი დილომი პროექტი“ არ ფლობს სხვა საწარმოებს და არც წილობრივი მონაწილე არ არის სხვა საწარმოების.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე იბერის 248 N20 საიდენტიფიკაციო კოდი: 405467775.

შპს ელინორ კონსტრაქშენი წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას, კომპანიის ძირითადი შემოსავალი გენერირდება უძრავი ქონების რეალიზაციიდან.

დასრულებული პროექტი მდებარეობს ქ.თბილისში „დიდ დილომი, პეტრე იბერის 22ა-ში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს "ელინორ კონსტრაქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ
გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს
სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

მარაგებს წარმოადგენს ფართები, მზა პროდუქციის სახით, რომელიც მომავალში რეალიზაციისთვისაა განკუთვნილი.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის შპს ელინორ კონსტრაქშენის მარაგები შეადგენს 3366522 ლ-ს.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით, ფასდამოკებისა და
საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ნეტო ამონაგებმა 2024 წ. შეადგინა 13026545 ლ. ძირითადი შემოსავალი საცხოვრებელი ბინების რეალიზაციიდან აკუმულირდება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი
სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად
გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
1000 ლარამდე ძ.ს	20 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა	20 პროცენტი
სპეციალური ინსტრუმენტები	20 პროცენტი

შპს დიდი დილომი პროექტის ბალანსზე ირიცხება როგორც ორგანიზაციის მიერ აშენებული, ასევე შეძენილი კომერციული
ფართები, ავტოსადგომები, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას რომელსაც ერიცხება ცვეთა 5%.

მიწის ნაკვეთები ღირებულებით :4321180 ლ

მსუბუქი ავტომობილი ცვეთა 20%

ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა. ცვეთა 20%

2024 წ. ძირითად საშუალებებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 3272 ლ. ნარჩენი ღირებულებამ კი შეადგინა 171658 ლ.

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება
მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შპს "ელინორ კონსტრუქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

არამატერიალური აქტივები, აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს, ამორტიზაციის გამოკლებით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ჯგუფმა 2023 , 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მოახდინა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტის ჩატარება.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს ელინორ კონსტრუქშენს ნაქირავები ჰქონდა ფართი შპს ემ ეს ჯი დეველოპმენტისგან, იჯარის ხარჯი 2024წ შეადგენს 14931ლ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ამონაგები, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2024წ.31.12. გაცემული ავანსები 1506020ლ, დებიტორული დავალიანება 4406ლ.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

შპს "ელინორ კონსტრაქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
2024წ.31.12 სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს -999759ლ. მიღებული ავანსები 808701ლ. თანამშრომელთა მიმართ
ვალდებულებები 2364ლ. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები 400000ლ შპს „ლიბრა ქონსტრაქშენი“-დან. საგადასახადო
ვალდებულება მოიცავს: დეკემბრის თვეში დარიცხულ გადასახადებს და 2024წ. დარიცხულ ქონების გადასახადი-1386ლ, 2024წ.
დეკემბრის თვის დარიცხული საგადასახადო ვალდებულება-85232ლ. სხვა ვალდებულება-87628ლ. ავანსად ჩათვლილი დღგ.

პერსონალის ბარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო
შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც
გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2024წ. პერსონალზე გაცემულმა სახელფასო სარგომ შეადგინა 226529ლ.

3. კრიტიკული სადრიცხო პროგნოზები და შეფასებები სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ
თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.
პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის,
იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა,
ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად
შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების
მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის
განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული
სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად
ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განიცემული ეკონომიკური
სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარწმუნდა სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის
და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშაებენ კომპანიისთვის.
გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი

შპს "ელინორ კონსტრაქშენი" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
ფიზიკური ცვთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით
გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მომგვლეზა, ან მორალური ცვეთა.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადებს გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისთვის გაწკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე.

31.12.2024 წ. ორგანიზაციას პირად ბარათზე ერიცხება 0.93ლ.

4. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

განხორციელებული ოპერაციების კვალიფიკაციის მინიჭება ხდება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე. კომპანია თანმიმდევრულია მიმდინარე საგადასახადო სიახლეებზე და ითვალისწინებს გამოცემულ მეთოდურ მითითებებს, რაც ამცირებს საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით მოსალოდნელ ინტერპრეტაციებს.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან

შპს "ელინორ კონსტრუქციები" (405467775)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის
განმავლობაში.

კომპანია მომავალში გეგმავს დარჩენილი საცხოვრებელი ფართების რეალიზაციას.

გ. სეზიშვილი